www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი, 26 სექტემბერი, 2013 წელი. | №3373 (180) | ფასი 50 თეთრი

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაცია წინასაარჩევნო გარემოს აფასებს

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციამ საქართველოში ვიზიტი დაასრულა. გუშინ გამართულ შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე დელეგაციის წევრებმა აღნიშნეს, რომ ქვეყანაში უკანასკნელ პერიოდში ჩატარებულ სხვა არჩევნებთან შედარებით, ამჟამად უფრო ღია და თანაბრად კონკურენტული საარჩევნო გარემოა შექმნილი.

დელეგაციის წევრთა აზრით, საქართველოს შესაძლებლობა აქვს, ისეთი საპრეზიდენტო არჩევნები ჩაატაროს, რომლის მიმართ მოქალაქეებს ნდობა ექნებათ და რომელიც ევროსაბჭოს სტანდარტებს დააკმაყოფილებს. **„ეს აღსანიშნავი მიღწევა იქნება ქვეყნისა და მთელი რეგიონისთვის,“** - აცხადებს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციის ხელმძღვანელი მარიჩელ მატეუ პი. მისი თქმით, ამ მიზნით საარჩევნო კამპანიისას უნდა გამოირიცხოს ოპოზიციის მხარდამჭერთა მიმართ პოლიტიკურად მოტივირებული ძალადობა, მათი დაშინება, არჩეულ ან დანიშნულ თანამდებობის პირებზე ზეწოლა, რათა დაკავებული თანამდებობები ვადამდე დატოვონ. ასევე, დელეგაციას საარჩევნო პროცესებში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ნებისმიერი ჩარევა გაუმართლებელად მიაჩნია.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

ადმინისტრაციული პატიმრობა 15 დღემდე მცირდება

დათო გამისონია

პარლამენტმა გუშინ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების პროექტი პირველი მოსმენით განიხილა. კანონპროექტის მომხსენებელმა, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ლევან იზორიამ პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე კანონპროექტით გათვალისწინებული ძირითადი სიახლეები წარმოადგინა.

პროექტის თანახმად, ადმინისტრაციული პატიმრობის მაქსიმალური ვადა, რომელიც მოქმედი ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით 90 დღეს შეადგენს, 15 დღემდე მცირდება. ლევან იზორიას თქმით, ადმინისტრაციული პატიმრობის ინსტიტუტის არსებობის მიზანშეწონილობის შესახებ ამჟამად საქართველოში აქტიური დისკუსია მიმდინარეობს.

კანონპროექტის დიდი ნაწილი საგზაო მოძრაობასთან დაკავშირებულ რეგულაციებს ეხება. იზორიას განმარტებით, კანონმდებლობაში აღარ იქნება ტერმინი - „მართვის უფლების ჩამორთმევა“, რომლის ნაცვლად შემოდის მართვის უფლების შეჩერება.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

პრემიერ-მინისტრმა ექსპერტები დატუქსა

ბიძინა ივანიშვილისა და პოლიტიკური ექსპერტების შეხვედრა პრემიერის ბიზნესცენტრში თითქმის ოთხ საათს გაგრძელდა. შეხვედრას ესწრებოდნენ: ალექსანდრე რონდელი, თენგიზ ფხალაძე, თორნიკე შარაშენიძე, სერგი კაპანაძე, კახი კახიშვილი, რამაზ საყვარელიძე, ხათუნა ლაგაზიძე, ზაზა ფირალიშვილი და მამუკა არეშიძე.

შეხვედრა საკმაოდ „უცნაურად“ წარიმართა. ნაცვლად იმისა, რომ ექსპერტებს პრემიერ-მინისტრისთვის დაესვათ კითხვები, პირიქით მოხდა. ბიძინა ივანიშვილმა ექსპერტებს შეკითხვებით თავად მიმართა, საკმაოდ მკაცრი საყვედურებიც უთხრა და მათივე ციტატების ახსნა-განმარტება და დასაბუთება მოსთხოვა. სამსაათიანი პირდაპირი ეთერის მეშვეობით მაყურებელმა ნახა, თუ როგორც ტუქსავდა პრემიერ-მინისტრი ექსპერტებს.

ბიზნესცენტრში შეკრებილ ექსპერტთაგან შეხვედრის მსვლელობისას მხოლოდ სერგი კაპანაძემ გამოხატა გაკვირვება იმის გამო, რომ პრემიერ-მინისტრთან შეხვედრისას ექსპერტებს თავიანთი მოსაზრებების დაცვა უწევდათ. როგორც კაპანაძემ აღნიშნა, ექსპერტებსა და ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენელს შორის ურთიერთობის ასეთ რეჟიმს პირველად ხედავს.

თითქმის ოთხსაათიანი შეხვედრის ბოლო ნაწილი ექსპერტების უმრავლესობამ, პირდაპირ თუ ირიბად, ბიძინა ივანიშვილისთვის თანამდებობაზე დარჩენის თხოვნას და ამ თხოვნის დასაბუთებას დაუთმო. თუმცა ექსპერტებმა ივანიშვილს პოლიტიკიდან წასვლა ვერ გადააფიქრებინეს.

ბიძინა ივანიშვილმა ექსპერტებს საპრეზიდენტო კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის შეფასებაც სთხოვა. ექსპერტების ნაწილმა პრემიერს თხოვნა შეუსრულა და შეხვედრის გარკვეული ნაწილიც მარგველაშვილის ქებას დაეთმო.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

სირიის და ირანის თემა გაეროს გენერალურ ასამბლეაზე

ივა შილაკაძე

ნიუ-იორკში მიმდინარეობს გაეროს ყოველწლიური გენერალური ასამბლეა, რომელზეც სიტყვით გამოდიან წევრი სახელმწიფოების პირველი პირები. ბოლო ორი დღის განმავლობაში მოუწიათ გამოსვლა აშშ-ს პრეზიდენტ ბარაკ ობამას, ირანის ახალარჩეულ პრეზიდენტ ჰასან როუჰანის, საფრანგეთის პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდს. ცხადია, ყველა სახელმწიფოს ხელმძღვანელს საკუთარი პრიორიტეტები აქვს და მათზე აკეთებს აქცენტს.

გაგრძელება
მე-6 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6643⇓		
1 ევრო	2.2110⇓		
1 ინგლისური გირვანქა	2.5933⇓		
1 თურქული ლირა	0.8622⇓		
100 რუსული რუბლი	5.0433⇓		
თბილისი	31°C - 20°C		
ქუთაისი	33°C - 20°C		
ზუგდიდი	32°C - 21°C		
ბათუმი	27°C - 21°C		
ნავთობი	3.19	+0.00	+0.16%
გაზი	3.58	+0.11	+3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80	-0.56%
ხორბალი	868.50	+12.25	+1.41%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA
ISSN 1987 9121

შოთა არველაძე, ჩოხები და რამადანი

ზურა თალაკვაძე

Recep Tayyip Erdogan Stadium. აქ შედის, გულშემატკივრებს ესალმება და იწყებს ბრძოლას „ქაშიმფაშა“. კლუბი, რომელიც დიდი ხნის წინ (1921) დაარსდა. კლუბი, რომელიც ბევრჯერ გადმოვიდა თურქულ სუპერლიგაში და კლუბი, რომელიც ჩვენთვის უკვე ახლოა. „ქაშიმფაშაში“ მთავარი მწვრთნელი შოთა არველაძეა. თურქეთში შოთა თემაა. „ტრაბზონის“ შემდეგ. იქ შოთი და აჩი კლასიკას ტოვებდნენ და ქართული ამბები საინტერესო გასახსენებელია ყველასთვის.

გაგრძელება
მე-7 გვერდზე

ამერიკული ყურანი

ია მერკვილაძე, ნიუ იორკი, აშშ

P.P.O.W. ნიუ იორკის ჩელსიში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და კონცეპტუალური გალერეაა. იგი თავის დარბაზს მხოლოდ იმ ნამუშევრებს უთმობს, რომლებშიც წამყვანი თემა სოციალური და პოლიტიკური შინაარსია. მაგალითად, ცნობილი და არც ისე ცნობილი არტისტების მართა უილოსონისა და მართინ უონგის, მელანი ბანაჯოსა და ვუდი ფოქსის, ოლივიერ ბლანკარტისა და სარა ოპენჰაიმერის ნახატები, ფოტოები და ინსტალაციები. 2010 წელს პირველად ამ საგამოფენო სივრცეში წარადგინეს მხატვრის, მწერლისა და რეჟისორის სენდოუ ბირკის ამერიკული ყურანი“, რომლის ექსპოზიცია ისევე როგორც წელს, მაშინაც 11 სექტემბრის ტერაქტის თარიღს დაემთხვა.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

დვანში ადგილობრივები საკუთარ სათავსოებს ცლიან

სოფელ დვანის განაპირა მხარეს ადგილობრივები საკუთარ სათავსოებს ცლიან. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ადგილობრივმა მცხოვრებლებმა აცნობეს, ე.წ. საზღვარს იქით 2008 წლის ომის დროს დაზიანებული სამი სახლი შეიძლება მოექცეს და მესაკუთრეები მეზობლებთან ერთად ცდილობენ, იქედან ყველაფერი გამოიტანონ. ამისთვის ვადა მათ დღის ბოლომდე აქვთ.

„ახლა ხეივანს ჭრიან ეზოში, უნდა გამოზიდონ ყველაფერი, ღობეც უნდა მოხსნან. სამივე სახლის პატრონი ცდილობს, გამოიტანოს ყველაფერი. როგორც ვიცით, დღის ბოლომდე უნდა მოასწრონ,“ - აცხდებენ დვანელები.

ადგილობრივების ინფორმაციით, ასევე გრძელდება მავთულხლართების მოსაწყობად ბოძების მონტაჟიც.

ამასთან, ადგილობრივები შიშობენ, რომ შესაძლოა, ე.წ. საზღვრის მეორე მხარეს სოფლის ეკლესია და სკოლაც მოხვდეს.

სოფლის განაპირა მხარეს სახლების დაცლა დვანელებს ოსებმა 23 სექტემბერს მოსთხოვეს და ამისთვის ორი დღის ვადა მისცეს.

პატრიარქი ქართველებისა და აფხაზების შერიგებისთვის ილოცებს

27 სექტემბერს, ჯვართამაღლებისა და აფხაზეთის დაცემის დღეს, ახლად დაწერილი ხატით - „ყოველთა მწუხარეთა სიხარული“, გმირთა მოედნიდან სამების ტაძრისკენ მსვლელობა მოეწყობა. ღონისძიება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, უმაღლესი საბჭოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ორგანიზებით ტარდება.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ მსვლელობის ორგანიზატორებმა აცნობეს, ხატი - „ყოველთა მწუხარეთა სიხარული“ სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესი ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, აფხაზეთში 90-იან წლებში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების 20 წლისთავთან დაკავშირებით დაიწერა.

27 სექტემბერს, 09:00 საათზე, გმირთა მოედანზე, ხატს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალთან დააბრძანებენ. 10:00 საათიდან კი სამების საკათედრო ტაძრისკენ ხატით მსვლელობა დაიწყება (მარშრუტი: გმირთა მოედანი-ვარაზის ხევი-მელიქიშვილი-რუსთაველი-თავისუფლების მოედანი-პუშკინის ქუჩა-ავლაბრის აღმართი-სამების საკათედრო ტაძარი).

სამების საკათედრო ტაძარში უწმიდესი და უნეტარესი ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მთავარეპისკოპოსი მცხეთა-თბილისისა და მიტროპოლიტი ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთისა აკურთხებს ხატს, რომელიც აფხაზეთში 20 წლის წინ განვითარებული ტრაგიკული მოვლენების დროს დაღუპულთა სულების მოხსენიებისა და შერიგებისთვის მლოცველთათვის დაიწერა. უწმიდესი და უნეტარესი ქართველებისა და აფხაზების შერიგებისათვის ილოცებს და აფხაზეთში 1990-იან წლებში დაღუპულთა სულის მოსახსენებელ პანაშვიდს გადაიხდის.

დემირელის კოლეჯი

აგრძელებს მოსწავლეთა მიღებას I-XII კლასებში და ხსნის

I კლასისთვის მოსამზადებელ ჯგუფს 4-5 წლის ბავშვებისათვის.

ტრადიციულად, დემირელის კურსდამთავრებულებმა წელსაც ისახელეს თავი და ჩაირიცხნენ აშშ-ს, თურქეთის და საქართველოს პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლებში.

ათმა მოსწავლემ მოიპოვა 100% -იანი გრანტი, ოთხმა მოსწავლემ 70%-იანი გრანტი, შვიდმა მოსწავლემ 50%-იანი გრანტი.

მისამართი: ორთაჭალა გრიშაშვილის N 51

ტ: 2 75 24 58

მიხეილ სააკაშვილი: რუსეთი კავკასიიდან წავა

ქართული დელეგაცია, საქართველოს პრეზიდენტის ხელმძღვანელობით, ამერიკის შეერთებულ შტატებში სამუშაო ვიზიტს განაგრძობს. აშშ-ში იმყოფება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძეც.

მიხელ სააკაშვილი გაერო-ს გენერალური ასამბლეის 68-ე სესიას ესწრება. დაგეგმილია სესიის მონაწილეთა წინაშე პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლა.

საქართველოს პრეზიდენტი ვიზიტის ფარგლებში აშშ-ს პრეზიდენტ ბარაკ ობამას შეხვდა, ასევე ევროპელ ლიდერებთან გამართა მოლაპარაკებები, სადაც რეგიონულ უსაფრთხოებასა და ორმხრივ ურთიერთობებზე გამახვილდა ყურადღება.

პოლონეთის პრეზიდენტმა ბრონისლავ კომოროვსკიმ სააკაშვილთან შეხვედრისას კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ პოლონეთი კვლავაც აქტიურად უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და ევროატლანტიკურ ინტეგრაციას.

საქართველოს ევროატლანტიკურ მისწრაფებებზე ისაუბრეს სააკაშვილმა და ესტონეთის პრეზიდენტმაც. თომას ილვესმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტიტის უპირობო მხარდაჭერა გამოხატა. მიხეილ სააკაშვილმა კი მას მადლობა გადაუხადა 2008 წელს, რუსეთ-საქართველოს ომის დროს აღმოჩენილი დახმარებისთვის.

გუშინ კი საქართველოს პრეზიდენტი ნიუ იორკში მცხოვრებ ქართველებს შეხვდა და მათ შეკითხვებს უპასუხა. პრეზიდენტმა ქართველი ემიგრანტების წინაშე განაცხადა, რომ რუსეთს კავკასიიდან საკუთარი ჯარების გაყვანა მოუწევს. როგორც სააკაშვილმა აღნიშნა, რუსეთის ჯარების მიერ რეგიონის დატოვება უახლოეს წლებში მოსალოდნელი გარდაუვალობაა.

„მან მე-20 საუკუნეში ძალიან ბევრი ქვეყანა აიღო სწორედ შიდა დივერსიების, პროვოკაციებისა და ყველანაირი მეთოდის გამოყენების გზით. ის, რაც საქართველოში ხდება, საერთოდ არ არის ახალი - მეტიც, საქართველოს ამ დამპყრობელთან ურთიერთობის დიდი გამოცდილება აქვს. საქართველოს აქვს ბევრ დამპყრობელთან ურთიერთობის გამოცდილება, მაგრამ რუსეთთან ბოლო საუკუნეების განმავლობაში ძალიან დიდი გამოცდილება დავაგროვეთ იმისა, თუ რა ტიპის ძალასთან გვაქვს საქმე. ოფიციალურად თუ არაოფიციალურად, მას მოუწევს ჯარების გაყვანა მთელი კავკასიიდან და მას მოუხდება ამ რეგიონის დატოვება. ეს არის, პრინციპში, აბსოლუტური გარდაუვალობა უახლოეს წლებში,“ - აღნიშნა პრეზიდენტმა.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ მაია ფანჯიკიძის შეხვედრების მთავარი თემა კი დიცსა და დვანში განვითარებული მოვლენები იყო. ფაჯიკიძე სხვადასხვა ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებს შეხვდა, მათ შორის - კვიპროსის, პანამის, მონტენეგროს და ვანუატუს მთავარ დიპლომატებს.

ფანჯიკიძეს ნიუ იორკში არაფორმალური შეხვედრებიც აქვს დაგეგმილი, სადაც, გავრცელებული ინფორმაციით, ყურადღება გამახვილდება აღმოსავლეთ პარტნიორობის ვილნიუსის სამიტისთვის დასახულ მიზნებსა და სამიტის შემდგომ პერსპექტივებზე. ფანჯიკიძე იმედოვნებს, რომ ამ შეხვედრების შემდეგ გაერო-ში დევნილთა შესახებ რეზოლუციას უფრო მეტი მხარდამჭერი ეყოლება.

„მქონდა 15 შეხვედრა სხვადასხვა ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებთან, რამდენიმე ქვეყნის პრემიერ-მინისტრთან. განსაკუთრებით გამოვყოფდი ვანუატუს საგარეო უწყების ხელმძღვანელთან შეხვედრას, რადგან ჩვენ მათთან დიპლომატიური ურთიერთობა ახლახან დავამყარეთ. ეს არის ქვეყანა, რომელსაც აღიარებული ჰქონდა აფხაზეთის დამოუკიდებლობა და რომელმაც, ასე ვთქვათ, უკან წაიღო ეს აღიარება და საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა,“ - განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დელეგაცია, მაია ფანჯიკიძის ხელმძღვანელობით, პოლიტიკურ საკითხებში გაერო-ს გენერალური მდივნის მოადგილე ჯეფრი ფელტმანსაც შეხვდა.

ფანჯიკიძემ გენერალური მდივნის მოადგილეს ინფორმაცია მიაწოდა საოკუპაციო ხაზის გასწვრივ ბოლო დროს განვითარებულ პროცესებსა და რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ საერთაშორისო ნორმების დარღვევის ფაქტებზე.

„შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მიმდინარე პროცესებს. ბატონ ფელტმანს დეტალურად მივაწოდე ინფორმაცია რუსეთის უკანონო ქმედებების შესახებ. ჩვენი პირველი შეხვედრის შემდეგ, სამწუხაროდ, საოკუპაციო ხაზის გასწვრივ სასიკეთოდ ბევრი არაფერი შეცვლილა და პირიქით, რუსეთის მხრიდან მავთულხლართების და თხრილების გაყვანის პროცესი უფრო ინტენსიური გახდა. განვიხილეთ ბატონი ფელტმანის შესაძლო ვიზიტი საქართველოში და იმედი მაქვს, რომ ამ ვიზიტის მომზადება წლის ბოლომდე შესაძლებელი იქნება,“ - განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

ამასთან, საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელი, ჟურნალისტებთან საუბრისას, მიხეილ სააკაშვილის სიტყვით გამოსვლასაც შეეხო და იმედი გამოთქვა, რომ პრეზიდენტი შიდა პოლიტიკურ საკითხებზე არ ისაუბრებს. ფანჯიკიძის თქმით, გაერო-ს გენერალური ასამბლეა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ფორუმია და აქ შიდა პოლიტიკური საკითხებზე საუბარი მიზანშეწონილი არ არის.

„რადგან მისთვის პრეზიდენტის რანგში ბოლო გამოსვლაა, ალბათ, თავისი პრეზიდენტობის პერიოდი უნდა შეაფასოს. იმედი მაქვს, რომ ეს შეფასება ობიექტური იქნება. არა მგონია, საშინაო პოლიტიკის საკითხები იყოს ამ მოხსენების შემადგენელი ნაწილი. ყოველ შემთხვევაში, არ იქნებოდა კარგი, თუკი მის მოხსენებაში საშინაო პოლიტიკა შევიდოდა. გაერო-ს გენერალური ასამბლეა ყველაზე მნიშვნელოვანი ფორუმია, სადაც ის თემები უნდა გააჟღერო, რომლებიც ქვეყნის საგარეო პოლიტიკისთვის არის მნიშვნელოვანი. ვფიქრობ, რომ ასეთი საკითხები უნდა შევიდეს პრეზიდენტის გამოსვლაში,“ - განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაცია წინასაარჩევნო გარემოს აფასებს

პირველი გვერდიდან

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, შესაბამისმა უწყებებმა საარჩევნო კამპანიის დროს ყველა სავარაუდო დარღვევა უნდა გამოავლინონ. მათი აზრით, მკაცრი და თანაზომიერი სანქციები უნდა გატარდეს, რათა მომავალში დარღვევები თავიდან იყოს აცილებული.

მარიჩელ მატეუ პი ამბობს, რომ დელეგაცია ძირითად პოლიტიკურ ძალებს შორის საარჩევნო კოდექსსა და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონში შესულ ცვლილებებზე კონსენსუსით კმაყოფილია. როგოც მან აღნიშნა, ახლა გადამწყვეტია ცვლილებების ეფექტიანი განხორციელება, მათ შორის ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების აკრძალვა, ამომრჩეველთა დაზუსტებული სიების უზრუნველყოფა, ასევე პოლიტიკური პარტიების, კანდიდატების დაფინანსებისა და ხარჯების გამჭვირვალობის საკითხების უზრუნველყოფა.

დელეგაციის წევრებმა ყურადღება გაამახვილეს უმცირესობების უფლებების დარღვევებსა და „საზოგადოებრივ მაუწყებელში“ შექმნილ ვითარებაზე. როგორც დელეგაციის ხელმძღვანელი ამბობს, მათ უმცირესობათა მიმართ არაშემწყნარებლური დამოკიდებულების შემთხვევების შესახებ ინფორმაცია მიიღეს. დელეგაცია ეთნიკური და რელიგიური ხასიათის დელიკატური საკითხების პოლიტიკური მიზნებით გამოყენებას დაუშვებლად მიიჩნევს.

რაც შეეხება „საზოგადოებრივ მაუწყებელს,“ როგორც მარიჩელ მატეუ პი აღნიშნავს, დელეგაცია მაუწყებლის ირგვლივ შექმნილი კონფლიქტური ვითარებით შეწუხებულია.

27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 32-წევრიანი სადამკვირვებლო მისია გაუწევს მონიტორინგს.

საკუთარი ინფორმაცია

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "შვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ. თილისი, ვაჟა-ფშაველას 45, 14-ე სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

პრემიერ-მინისტრმა ექსპერტები დატუქსა

პირველი გვერდიდან

„კეთილი ინებეთ და შემახსენეთ, რა არ მოგწონთ, მე კი შევეცდები, ჩემი პოზიცია დავაფიქსირო, - ამ სიტყვებით მიმართა შეხვედრის დასაწყისში საქართველოს პრემიერ-მინისტრმა პოლიტოლოგებს.

„მამუკა არეშიძე, რომელიც ჩემი ახლო მეგობარია და ჩემთან ყველაზე დიდხანს მუშაობდა, ამბობს, რომ დღეს მმართველი ძალის და „ნაციონალების“ სიმბიოზია ანუ ერთად ვმუშაობთ და ერთად ვიყოფთ ქონებას. ის ამბობს, რომ წართმეული ქონების დაბრუნება არ ხდება, რადგან გარემოცვა პრემიერს ინფორმაციას უმალავს. მამუკა ორნაირად გამოთქვამს - ან მიმალავენ ან, ჩემი ცხოვრების წესით, ვერ ვახდენ ინფორმაციის მიღებას. უნდა დაასაბუთოს ერთი, რა ინფორმაცია აქვს მხედველობაში. ასევე, მამუკა ამბობს, რომ ჩემი წასვლით „ნაციონალები“ დაბრუნდებიან. მე იოტისოდენადაც არ მჯერა, რომ ჩემი წასვლით „ნაციონალები“ დაბრუნდებიან. „ივანიშვილი თავს არიდებს თავის წასვლით ქვეყნის გამოკვეთილ ორიენტაციას“ - ესეც უნდა მითხრათ, რას ვარიდებ და როგორ ვარიდებ. ასევე ამბობთ, რომ „ქვეყანაში არ ჩანს სტრატეგიული გათვლა“ და ასევე „პრემიერი არის არაინფორმირებული, ქვეყანაში ქაოსია“. ექსპერტებმა უნდა გაიაზრონ, რომ ერთი ან ორი პროგნოზის ვერგამოცნობით საზოგადოებაში ნდობას კარგავენ,“ - აღნიშნა ივანიშვილმა.

მამუკა არეშიძე შეეცადა, ივანიშვილისთვის საკუთარი არგუმენტები მოეყვანა და ისიც აღნიშნა, რომ ზოგი რამ მისი ნათქვამი არ არის და ჟურნალისტებმა არასწორად დაწერეს. თუმცა პრემიერ-მინისტრმა არეშიძის არგუმენტები არადამაჯერებელად მიიჩნია.

გუშინდელ შეხვედრაზე არეშიძეს თავის მართლება ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შესახებ გამოთქმული მოსაზრების გამოც მოუწია.

„რამდენად გაგაჩნიათ იმის თქმის საფუძველი, რომ მე ასეთი ბრძოლის მეშინია, რეალობა იყო ისეთი, რომ მე შევედი ბრძოლაში, სადაც საკუთარი თავი გავწირე. მე ჩემს თავში ეჭვი არ შემპარვია, მაგრამ თქვენ იმედი გამიცრუეთ, თქვენ გაქვთ ეჭვი, რომ მე თავს ვარიდებ ამ ბრძოლას,“ - მიმართა ივანიშვილმა არეშიძეს.

პრემიერმა საყვედურის გარეშე არც სხვა ექსპერტები დატოვა და ახსნა-განმარტებები რამაზ საყვარელიძეს, ვაჟა ბერიძეს და ზაზა ფირალაშვილსაც მოსთხოვა.

„ბატონო რამაზ, როდესაც თქვენ გაქვთ დიდი პატივისცემა და სანდოობა და საუბრობთ ზოგადად, რომ „ქართული ოცნების“ მხარდაჭერა კლებულობს, ამაში ვერ გეთანხმებით, ვერ გეთანხმებით იმიტომ, რომ მე გაჩვენებთ შემთხვევებს, როცა პირწავარდნილი ნაცები დღეს ჩვენზე პირჯვარს იწერენ და სადღეგრძელოებს ამბობენ,“ - უთხრა პრემიერმა საყვარელიძეს.

„სხვებზეც ვისაუბრებ. ვაჟა ბერიძე ჩემთან მუშაობდა და ის ასკვნის, რომ პოლიტიკური კრიზისი უკვე არსებობს. თქვენ ამბობთ, რომ ივანიშვილი სამოქალაქო სექტორში გადადის. მე გადავდივარ საზოგადოებაში და სწორედ ამ სამოქალაქო სექტორს სჭირდება ჩამოყალიბება და შექმნა. თქვენ ამბობთ, რომ კოალიცია დაშლილია; ივანიშვილის წასვლით პარლამენტის და მთავრობის ლეგიტიმაცია ეჭვქეშ დგება და ამბობთ იმასაც, რომ ივანიშვილი დასავლეთმა არ მიიღო; ასევე ამბობთ, რომ არჩევნების მეორე ტური გარდაუვალია და ივანიშვილი თავის მემკვიდრედ თავის ნათესავს მამაცაშვილს ტოვებსო. ზაზა ფირალიშვილი ამბობს, რომ „ქართული ოცნების“ უნიათობაა, რომ სამართლიანობის აღდგენის პროცესი ასე გაჭიანურდა. რამაზ საყვარელიძე ამბობს, რომ ოცნების მხარდაჭერა კლებულობს და მან ეს უნდა დამიმტკიცოს. მისივე თქმით, პრემიერისთვის პრინციპული არ იქნება მისივე კანდიდატმა გაიმარჯვოს საპრეზიდენტო არჩევნებში. რატომ გამყავს საკუთარი კანდიდატი, თუ მისი გამარჯვება ან დამარცხება ჩემთვის პრინციპული არ იქნება? გიორგი ხუციშვილი ამბობს, რომ ივანიშვილის მხრიდან დაფინანსების შემთხვევაში სამოქალაქო სექტორი შესაძლოა, გადაიქცეს ინსტრუმენტად ერთი ადამიანის ხელში. სოსო ცისკარიშვილი კი ამბობს, რომ თუ მეორე ტური არ ჩატარდა, საქართველოში დემოკრატია არ არის. სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქმეზე კი მან ყველაფერს დაასწრო და მატრიალა, რომ ისინი პოლიტპატიმრები არიან და ა.შ“, - ჩამოთვალა პრემიერმა ექსპერტთა მიერ სხვადასხვა დროს გამოთქმული მოსაზრებები.

პრემიერ-მინისტრს განსაკუთრებით აღიზიანებს ექსპერტების საუბარი წინასაარჩევნო დაპირებების შეუსრულებლობაზე.

„არ მინახავს ექსპერტი, რომელიც ამბობს, რომ ახალი მთავრობა თავის დანაპირებს განუხრელად და წარმატებით ასრულებს. მე მაქვს პოზიცია, რომ დანაპირებს წინმსწრებად და გადაჭარბებით ვასრულებთ. ზუსტად ამ პოზიციას ვაფიქსირებ მთავრობის მეთაური და კეთილი ინებეთ, სანამ მე შემიხსენებია თქვენი გამონათქვამები, რომლებიც თან მაქვს მოტანილი, პირდაპირ ეთერში შემახსენეთ, რა არ მოგწონთ, არ არ შევასრულეთ და მე შევეცდები, ჩემი პოზიცია დავაფიქსირო,“ - აღნიშნა პრემიერმა.

ივანიშვილმა თავისი მთავრობის წევრების „საოცარ მუშაობზეც“ ისაუბრა.

„საოცრება მოხდა პოლიციაშიც, პროკურატურაშიც და სასამართლოშიც, თუ გნებავთ, რაც ამ 10 თვის განმავლობაში მოხერხდა,“ - აღნიშნა პრემიერმა. მისივე თქმით, ქვეყანაში კრიმინალი შემცირდა და პოლიციის სისტემაში სასწაული მოხდა.

„იმ პოლიციიდან, რომელიც ტოტალურად ძალადობდა საკუთარ ხალხზე, ძალიან მაგარი პოლიცია მივიღეთ. გასაგებია, რომ უკეთესი გვინდა. სასწაული მოვახდინეთ ამ დროის განმავლობაში,“ - განაცხადა ივანიშვილმა.

როგორც ბიძინა ივანიშვილმა აღნიშნა, საჯარო მოხელეებსა და ჟურნალისტებს ძველი სისტემიდან წამოსვლა და ხელფასის გადახდა არაერთხელ საჯაროდ შესთავაზა, თუმცა **„კაცი ვერ გაანძრია“.**

„ბევრს უნდოდა წამოსვლა და ეშინოდა, რომ სასტიკად დაისჯებოდა. ჩვენ ვუყურებდით ამ პროცესებს, საზოგადოება აბსოლუტურად პასიური და ინერტული იყო. მარტო პოლიციელს და პროკურორს ვერაფერს მოვთხოვთ. ადეიშვილიც კი ზეწოლას დაექვემდებარა, თუმცა ეს მას არ ამართლებს. მან ეს სისტემა ვიღაცის სურვილის გამო შექმნა. დარწმუნებული ვარ, ადეიშვილი სახელმწიფოში ყველაზე კარგი ჩინოვნიკი იქნებოდა, ჩემს მთავრობაში რომ ყოფილიყო,“ - აღნიშნა ივანიშვილმა.

პრემიერი მიიჩნევს, რომ ადეიშვილი ძალიან საინტერესო ადამიანია და წინა ხელისუფლებაში ყველაზე ნიჭიერი კაცი იყო. **„მერაბიშვილი მუდმივად მაოცებდა ხოლმე თავისი ეკონომიკური ანალიზით და როდესაც ვეკითხებოდი, საიდან იცოდა ამდენი, მპასუხობდა - ადეიშვილია ჩემი მასწავლებელიო. ამიტომ, მისი გაცნობა სულ მაინტერესებდა და ვერ მოვახერხე. სასამართლო, პროკურატურა და ყველაფერი მისი დალაგებულია. პოლიციაც მან დაულაგა მერაბიშვილს. მერაბიშვილი მეუბნებოდა, ნეტავ განახა, როგორ პარკეტზე ცხოვრობს ადეიშვილი და პირველი თაობის მობილურს იყენებსო, ისეთი პრინციპულია, სხვა არაფრის გაგონება არ უნდაო. მე ამ ყველაფრის მჯერა და იმ იდეოლოგიამ და ერთი კაცის გადაწყვეტილებებმა ბევრი აიძულა, ისე მოქცეულიყო, როგორც შესაძლოა, არ უნდოდა,“** - განაცხადა ივანიშვილმა.

გარდა ამისა, პრემიერმა უპასუხა ექსპერტების მოსაზრებას, რომ პროკურატურაში სამხელისუფლებიანობაა და მთავარი პროკურორი ბევრ საკითხს ხშირად ბოლომდე ვერ წყვეტს.

ბიძინა ივანიშვილმა აღნიშნა, რომ არჩილ კბილაშვილი გულწრფელი კაცია, თუმცა **„კარგი ადამიანობა და გულწრფელობა ხშირად სტრუქტურის მართვას არ შველის. ადვოკატი როდესაც პროკურორად მიდის, რთულია. რაც შეეხება ლაშა ნაცვლიშვილსა და კბილაშვილს შორის კონფლიქტს, კონფლიქტი არ არსებობს. ლაშა გამოცდილია. იგი ნიჭიერი, ინტელექტუალი კაცია, აჩიკოს მხარში უდგას. არჩილ კბილაშვილი ამერიკელებსაც მოსწონთ, ევროპელებსაც მოსწონთ. ლაშა უფრო პრაქტიკულია და მეტი გამოცდილება აქვს. ის ხშირად წყვეტს იმას, რაც კბილაშვილის გადასაწყვეტია, ასეთი კაზუსები შეიძლება იყოს, მაგრამ ეს არ არის დიდი პრობლემა,“** - მიიჩნევს პრემიერი.

ივანიშვილი კახი კახიშვილის განცხადებასაც გამოეხმაურა, რომლის თანახმადაც, სამართლიანობის აღდგენის დანაპირები არ სრულდება.

„დღეს ზოგიერთ ჩვენს ოპონენტს, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობს, ძირითად თემატიკად და ლოზუნგად ეს აქვს, რომ სამართლიანობა არ აღდგა და ჩვენ ამის დაპირებებს ვიძლეოდით. ვიმეორებ, რომ ვიძლეოდით ამის დაპირებას. მოდით, რეალობიდან ამოვიდეთ. სამართლიანობის აღდგენა იყო ერთ-ერთი ძირითადი დანაპირები და დღესაც პასუხისმგებლობით ვექცევით. პირველია ის, რომ ახალი გუნდის მოსვლის შემდეგ პოლიცია და პროკურატურა ვეღარ მძლავრობს და ვეღარ ძალადობს მოქალაქეებზე. ადამიანის უფლებები ტოტალურად იყო დარღვეული. ნებისმიერი ადამიანის უკანონოდ დასჯა შეეძლოთ და მათ წინ ვერავინ აღუდგებოდა. იმის შიში, რომ შეუძლიათ, ნებისმიერი დაარბიონ, წაართვან, დასრულებულია,“ - განაცხადა ივანიშვილმა.

საქართველოში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის დასაძლევად ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლების სტრატეგიით დაინტერესდა სერგი კაპანაძე.

„მშპ-ს ზრდა 2012 წლის მეოთხე კვარტალში 2,8 პროცენტი იყო, 2013 წლის პირველ კვარტალში - 2,4 პროცენტი, მეორე კვარტალში - 1,4. ბოლო სამი კვარტლის განმავლობაში სახეზეა მშპ-ს კლება. უმეტეს შემთხვევაში ამ საკითხის ახსნა პოლიტიზებულია და ბრალდებები წინა ხელისუფლების მისამართით ისმის. რა არის თქვენი ხელისუფლების სტრატეგია არსებული ეკონომიკური მდგომარეობის დასაძლევად?“ - მიმართა პრემიერს სერგი კაპანაძემ და დასძინა, რომ მთლიანი შიდა პროდუქტის შემცირებას ინვესტიციების რაოდენობის კლებაც ემატება. კერძოდ, კაპანაძის ინფორმაციით, თუ მიმდინარე წლის კვარტალს წინა წლის შესაბამის კვარტალს შევადარებთ, 40 მილიონიანი სხვაობაა სახეზე.

„ამას ემატება სამუშაო ადგილები, რაც, ფაქტია, არ გაზრდილა,“ - აღნიშნა სერგი კაპანაძემ „საქსტატის“ ციფრებზე დაყრდნობით.

კაპანაძის საპასუხოდ ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ ყოფილი მთავრობის მეთოდებით მართულ ეკონომიკას პერსპექტივა არ აქვს და ის ვერ განვითარდება.

„ყველა კერძო ბიზნესი ერთი კაცის ხელით იმართებოდა. ის უთითებდა ყველას, სად რა უნდა აეშენებინათ და ბიზნესი, პრაქტიკულად, გაძვალტყავებული იყო. რომ არა ჩვენი მოსვ

ჟენევის დისკუსიების ჰუმანიტარული სამუშაო ჯგუფის ქართული დელეგაცია დვანში ჩავა

ჟენევის დისკუსიების ჰუმანიტარული სამუშაო ჯგუფის ქართული დელეგაციის წევრები ქარელის რაიონის სოფელ დვანში ჩავლენ. ჯგუფს რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ქეთევან ციხელაშვილი ხელმძღვანელობს. ციხელაშვილი და ჯგუფის სხვა წევრები გამყოფ ხაზზე შექმნილ მგდომარეობას გაეცნობიან, შეხვდებიან ადგილობრივ მოსახლეობას.

«ჟენევის დისკუსიების მეორე, ჰუმანიტარული ჯგუფის განხილვის თემა მუდმივად არის გადაადგილების თავისუფლება, მავთულხლართებითა და სხვა ხელოვნური დაბრკოლებებით გამოწვეული ჰუმანიტარული შედეგები. ამდენად, გვსურს, შექმნილ ვითარებას ადგილზე გავეცნოთ. მიღებულ ინფორმაციას დეტალურად მივაწვდით საერთაშორისო თანამეგობრობას, მათ შორის, რა თქმა უნდა, ჟენევის დისკუსიების თანათავმჯდომარეებს და შესაბამისი რეაგირებისკენ მოვუწოდებთ,» - განაცხადა ქეთევან ციხელაშვილმა.

მთავრობის წარმომადგენლები სოფელ დვანში, ხვალ, 11:00 საათზე ჩავლენ.

საქართველოში ყველაზე გავრცელებული გვარებია - ბერიძე, მამედოვი და კაპანაძე

საქართველოში ყველაზე გავრცელებული გვარებია ბერიძე, მამედოვი და კაპანაძე. ამის შესახებ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სტატისტიკაშია ნათქვამი.

უწყების ცნობით, 6 სექტემბრის მდგომარეობით, საქართველოში ყველაზე გავრცელებული გვარების ათეული ასეთია: ბერიძე - 28 289; მამედოვი - 27 662; კაპანაძე - 18 966; ალიევი 18 687; გელაშვილი - 18 128; მაისურაძე - 16 175; გიორგაძე 13 994; ლომიძე - 12 995; წიკლაური - 12 869; ბოლქვაძე - 12 306.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო რეგიონების მიხედვით გვარების სტატისტიკურ მაჩვენებლებს ეტაპობრივად გაავრცელებს.

თელავში სამხედრო მოსამსახურე გარდაიცვალა

თელავში მე-20 კადრირებული ბრიგადის სამხედრო მოსამსახურე გარდაიცვალა. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, რიგითი არკადი ზაზას ძე იმერლიშვილი დათხოვნაში იმყოფებოდა. თუმცა, დღეს მოწყობაზე უნდა გამოცხადებულიყო. ბატალიონის თანამშრომლებმა მას სახლში მიაკითხეს და გარდაცვლილი ნახეს. ამ დროისთვის მიმდინარეობს მოკვლევა. საქმეს შინაგან საქმეთა სამინისტრო იძიებს. წინასწარი ინფორმაციით სამხედრო მოსამსახურემ თავი მოიკლა.

არკადი იმერლიშვილი შეიარაღებულ ძალებში 2012 წლიდან საკონტრაქტო სამსახურში მსახურობს. ის მე-20 კადრირებული ბრიგადის 203-ე ბატალიონის მეკავშირე იყო.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით და უსამძიმრებს გარდაცვლილის ოჯახს.

NDI მედიას დღეს პოლიტიკური პარტიების რეიტინგებს წარუდგენს

NDI მედიას დღეს პოლიტიკური პარტიების რეიტინგებს წარუდგენს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტიდან“ (NDI) აცნობეს, NDI მედიას წარუდგენს მიმდინარე წლის სექტემბერში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებს, თემაზე „საზოგადოების განწყობა საქართველოში“. პრეზენტაციაზე წარმოდგენილი იქნება პოლიტიკური რეიტინგები.

NDI-ს კვლევის საველე სამუშაოები ჩატარდა 18 აგვისტოდან 3 სექტემბრის პერიოდში, საქართველოს მასშტაბით 3,838 პირისპირ ინტერვიუს წარმომადგელობითი შერჩევის საფუძველზე.

NDI-ს კვლევებს შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო (შიდა) აფინანსებს და კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი ატარებს.

კვლევის პრეზენტაცია 11:00 საათზე, სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ გაიმართება. პრეზენტაციაზე მხოლოდ მედიასაშუალებებია მიწვეული.

ვანო მერაბიშვილსა და ზურაბ ჭიაბერაშვილს ბრალი არ მოუხსნეს

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე თეიმურაზ დგვარელმა ვანო მერაბიშვილისა და ზურაბ ჭიაბერაშვილის ადვოკატების შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

გიორგი ჩივიაშვილი და ოთარ კახიანი ვანო მერაბიშვილისათვის აღმკვეთი ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობის, ხოლო მეორე შემთხვევაში ბრალდებულების მიმართ სისხლის სამართლის დევნის შეწყვეტას ითხოვდნენ.

ადვოკატ გიორგი ჩივიაშვილის თქმით, მერაბიშვილისა და ჭიაბერაშვილის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა არაუფლებამოსილმა პირმა დაიწყო, ხოლო რადგან საქმეზე საგამოძიებო სამუშაოები დასრულებული იყო, ბრალდებულები მოწმეებზე ზეგავლენას ვერ მოახდენდნენ და ვერც ნივთიერ მტკიცებულებებს გაანადგურებდნენ.

«მოიკითხეთ, რამდენჯერ არის დაჯარიმებული ვანო მერაბიშვილი მას შემდეგ, რაც პრემიერი აღარ არის და სამთავრობო ესკორტით აღარ გადაადგილდება. მაგ ლოგიკით შეიძლება, თქვენ სასჯელაღსრულების მინისტრიც გაათავისუფლოთ იქიდან. 3 669 მოწმეზე ზეგავლენა რომ მოვახდინოთ და ყველა ერთად ვნახოთ, 200-კაციანი სპეცნაზი მაინც დაგვჭირდება,» - განაცხადა გიორგი ჩივიაშვილმა.

მოსამართლის გადაწყვეტილებით, ყოფილი მაღალჩინოსნების საქმეზე ძირითადი სხდომა 7 ოქტომბერს, 13:00 საათზე ჩაინიშნა.

ბიძინა ივანიშვილმა მომავალი პრემიერ-მინისტრის კანდიდატურა შეარჩია

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა მომავალი პრემიერ-მინისტრის კანდიდატურა უკვე შეარჩია.

ამის შესახებ თავად პრემიერმა ექსპერტებთან შეხვედრაზე განაცხადა, თუმცა მომავალი პრემიერის ვინაობა ისევ არ დააკონკრეტა.

„პრინციპში არჩევანი გაკეთებული მაქვს. მე მქონდა სამი ვარიანტი. სამივეს ვუყურებდი და სამივეს ვიტყვი, თუ საჭირო იქნება ბოლოს. დრო კიდევ მაძლევს საშუალებას, რატომ უნდა ვიჩქარო?! რომ არ შევცდე, დრო კიდევ არის," - აღნიშნა პრემიერმა.

მისივე თქმით, მომავალი პრემიერის კანდიდატურის დასახელების არავითარი ვალდებულება არ არსებობს და ეს პოლიტიკურადაც გაუმართლებელიც იქნება, რადგან წინ საპრეზიდენტო არჩევნებია.

პრემიერმა ის მიზეზები დააკონკრეტა, თუ რატომ არ ასახელებს მომავალი პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის ვინაობას. ერთ-ერთ მიზეზად მან ის დაასახელა, რომ პროცესი არ უნდა დაკნინდეს და ფოკუსირება საპრეზიდენტო არჩევნებზე უნდა მოხდეს.

ადმინისტრაციული პატიმრობა 15 დღემდე მცირდება

პირველი გვერდიდან

როგორც იზორია ამბობს, მძღოლს მართვის უფლების მოსაპოვებლად ტესტირების თავიდან ჩაბარება არ მოუწევს, არამედ სანქციის ვადის გასვლისთანავე მართვის უფლებას ავტომატურად მიიღებს. გარდა ამისა, მართვის უფლების შეჩერებისთვის გათვალისწინებული ვადები განახევრდება.

მართვის უფლების შეჩერების სანქციას კი ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ ავტომანქანის მართვის შემთხვევაში ჯარიმის ნაცვლად გამოიყენებენ. კოდექსის მოქმედი რედაქციით, თუ მძღოლი ავტომანქანას ნასვამი მართავს, ის 200 ლარით ჯარიმდება. ცვლილების მიღების შემთხვევაში კი ნასვამ მძღოლს მართვის უფლებას 6 თვით შეუჩერებენ.

ლევან იზორიას განმარტებით, შსს-ს მიზანი ფისკალური ეფექტზე აქცენტირება არ არის, მიუხედავად იმისა, რომ ეს დიდ თანხას უკავშირდება. მინისტრის მოადგილემ მოიხმო სტატისტიკური მონაცემები, რომლის თანახმად, პოლიციამ ერთ წელიწადში 40 000 ნასვამი მძღოლი გამოავლინა. **„სამართალდარღვევათა უმეტეს შემთხვევებში, რომლებიც ხშირად უბედური შემთხვევით სრულდება, ავტომანქანას ნასვამი მძღოლი მართავს ხოლმე. ამიტომ, ჩვენთვის მთავარი თითოეული ადამიანის უსაფრთხოებაა,"** - აღნიშნავს ლევან იზორია.

კანონპროექტის თანახმად, ერთი წლის მანძილზე განმეორებითი შემთხვევისას სანქციები მკაცრდება: ნასვამი მძღოლი 700 ლარით დაჯარიმდება და ამასთან, მას მართვის უფლების ჩამორთმევის ვადა ერთი წლით გაუგრძელდება. ერთი წლის განმავლობაში მე-3 შემთხვევის გამოვლენისას ჯარიმა 1000 ლარი, ხოლო მართვის უფლების შეჩერების ვადა პლუს 2 წელი იქნება.

იზორია შემამსუბუქებელი გარემოების შესახებაც საუბრობს და აღნიშნავს, რომ ნასვამ მძღოლს სანქციები მხოლოდ იმ შემთხვევაში არ შეეხება, თუ მას გადაჰყავს პირი, რომელიც გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას საჭიროებს.

საგზაო მოძრაობის წესებს ეხება კანონპროექტით გათვალისწინებული კიდევ ერთი საკითხი. დაგეგმილი ცვლილების თანახმად, უწყვეტი ღერძულა ხაზის გადაკვეთისთვის დაწესებული ჯარიმა 100-დან 50 ლარამდე მცირდება. ერთი წლის განმავლობაში გამოვლენილი განმეორებითი შემთხვევისთვის მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ჯარიმის ოდენობა, რომელიც 200 ლარს შეადგენს, ასევე განახევრდება.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დაგეგმილი ცვლილებების ნაწილი არასრულწლოვნებს ეხებათ. **„პირი, რომელიც არასრულწლოვანს დაათრობს, მიუხედავად იმისა, მშობელი იქნება ის თუ სხვა ვინმე, 300 ლარით დაჯარიმდება,"** - ამბობს ლევან იზორია.

კანონპროექტი ვალდებულებებს აკისრებს სავაჭრო ობიექტის გამყიდველსაც. გამყიდველი 100 ლარით დაჯარიმდება იმ შემთხვევაში, თუ თვალსაჩინო ადგილზე არ დაამაგრებს ბანერს წარწერით: „არასრულწლოვანისთვის ალკოჰოლური სასმელის მიყიდვა აკრძალულია".

იმ შემთხვევაში, თუ სავაჭრო ობიექტიდან არასრულწლოვანს ალკოჰოლური სასმელი მიყიდეს, 300 ლარით დაჯარიმდება არა გამყიდველი, არამედ სავაჭრო ობიექტი. ერთი წლის განმავლობაში განმეორებით შემთხვევაზე ჯარიმა 500 ლარი იქნება.

რიგგარეშე სხდომაზე პარლამენტმა სულ ორმოცამდე კანონპროექტი განიხილა. ასევე მოისმინა და ცნობად მიიღო თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის, ევროპასთან ინტეგრაციის, საფინანსო-საბიუჯეტო, რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის და საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტების ერთი წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშები.

პარლამენტმა, უმცირესობის მოთხოვნით, პოლიტიკური დებატების გამართვის შესახებ დადგენილება მიიღო, რომლის თანახმად, ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ პოლიტიკური დებატები 1 ოქტომბერს, 14:00 საათზე დაიწყება.

დღის ბოლოს პარლამენტმა კენჭისყრაზე განხილული კანონპროექტები მიიღო. საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის კენჭისყრაზე გატანამდე კი ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარემ ზაქარია ქუცნაშვილმა სარეიტინგო კენჭისყრის ჩატარება მოითხოვა, რომელშიც პროექტს მხარი 100-მა დეპუტატმა დაუჭირა. შემდეგ გამართულ რეალურ კენჭისყრაზე საკონსტიტუციო ცვლილების პროექტი მე-2 მოსმენით, 103 ხმით, ერთხმად მიიღეს.

სასკოლო სახელმძღვანელოები
საგამომცემლო ფასში

აბიტურიენტები, ტესტები, საატესტაციო წიგნები
და სხვა დამხმარე ლიტერატურა.

სასკოლო საკანცელარიო ნივთები

ვაჟა-ფშაველას 43,
„დელისის მეტროსთან"
პროფკავშირების კულტურის ცენტრში
595 11 32 33
571 11 32 33

ამერიკული ყურანი

პირველი გვერდიდან



მხატვრის ამ კოლექციას არაორაზროვანი დატვირთვა აქვს: ერთგვარი სიუჟეტური თანაარსებობა“, ამერიკული ყოველდღიურობისა და ისლამის თანაცხოვრება.

სამხრეთ კალიფორნიელი სენდროუ ბირკის ნახატების თემებია ქალაქი და ძალადობა, სხვადასხვა პოლიტიკური თუ იდეოლოგიური სტერეოტიპები, ციხე, გრაფიტი, სკეითბორდინგი, სერფინგი, ომი ერაყში/ ავღანეთში. ბირკის ყველაზე ცნობილი კოლექციაა ფსევდოისტორიული ნახატების სერია, რომელშიც აღწერილია, თითქოს ლოს ანჯელესი და სან ფრანცისკო კალიფორნიის გაკონტროლებისთვის იბრძოდნენ. მოგვიანებით კი მხატვარმა კალიფორნიისა და ნიუ იორკის ციხეების პეიზაჟებიც“ და დანგრეული ქალაქების გრაფიკაც შექმნა. ზოგჯერ მას სატირიკოს მხატვარსაც უწოდებენ, რომელიც აშარჟებს იმას, რაც ერთი შეხედვით, დაცინვის ობიექტი ვერ იქნება. მაგრამ სულ სხვაგვარი დატვირტვა აქვს ბირკის ყურანს“, რომლის შესახებაც იმისთვის, რომ ამ ნახატებს კიდევ უფრო დიდი ეთიკური კონფლიქტი“ არ გამოეწვიათ, გაცხადებული იყო, რომ სურების სახელდახელოდ გადაწერის აქტში იუმორის თუ ცინიზმის ნასახი იყო. არამედ ეს მუსულმანთა წმინდა წიგნის პატივისცემის კრეატიულ ჟესტს წარმოადგენდა, ოღონდ ამერიკული“ აღქმის ილუსტრირების საშუალებით. სენდოუ ბირკი სხვა მხატვართან ერთად ქმნის ხუთ ტილოს სახელწოდებით ღმერთის 99 ყველაზე სრულყოფილი სახელი“, რომელშიც 11 სექტემბრის ტერაქტში მონაწილე“ აეროპორტებია წარმოდგენილი. სამი აეროპორტი, საიდანაც ტერორისტების ოთხი რეისი განხორციელდა და ორი, საითკენაც თვითმფრინავები სავარაუდოდ მირმართებოდნენ.

2005 წელს სენდოუ ბირკმა ყურანის სურების ქაღალდზე გადაწერა დაიწყო, უფრო სწორედ, გადახატვა თუ დახატვა, ხოლო ფონად ჩარჩოში მოთავსებულ რელიგიურ ტექსტს ამერიკული ცხოვრების ამსახველ, ოღონდ სურის შინაარსის პირდაპირ თუ ქარაგმით შემცველ ეპიზოდებს ურთავდა. იმ პერიოდში სენდოუ ბირკი დანტეს ღვთაებრივი კომედიის“ თემებზე ახალ პროექტს - ფილმს იღებდა, მაგრამ უცებ ოკენის გადაღმა დანიურ გაზეთში გამოქვეყნებული მუჰამედის კარიკატურებთან დაკავშირებული სისხლიანი არეულობა დაიწყო. აგრესიულმა პროტესტებმა გადამღები ჯგუფი იძულებული გახადა ეკრანზე მუჰამედ წინასწარმეტყველის სამხატვრო იმიჯისადმი დამოკიდებულება არა მხოლოდ შეეცვალა, არამედ კორექტივები ფილმის სცენარშიც შეეტანა. საქმე იმაშია, რომ ფილმის პროდიუსერებს შეეშინდათ და მუჰამედი ფილმის სცენარიდან (დანტეს ნაწარმოებში მუჰამედი არის) საეთოდ ამოიღეს. თუმცა ჯერ არავინ იცოდა, რომ ფილმის რეჟისორი ამერიკულ ყურანზე“ მუშაობდა და ამ რელიგიური მიმდინაროების მთავარი წიგნის სურებს ფერწერულ იერს აძლევდა.

სენდოუ ბირკი რელიგიურ ტექსტს ნახატის საშუალებით თანამედროვეობაში ინტერპრეტირებს: ყურანის N... სურა ტრადიციული ისლამური კალიგრაფიით ინგლისურად იწერება, ხოლო კონტექსტად ყურანის რომელიმე თავის შინაარსის შესაბამისად ადამიანები მოძრაობენ - სახლებში, ოფისებში, ქუჩებში, პლანტაციებში, მაღაზიებში, მუზეუმებში; სარეცხის, სახანძრო, ნაგვის მანქანებთან, ავტომობილებთან თუ სატვირთო სატრანსპორტო საშუალებებთან; ზაფხული, თოვლი, კალათბურთი, გოლფი, სერფინგი, ავტობუსის გაჩერება, ცათამბჯენები, შენობის ნანგრევები, სატელევიზიო სტუდია, გემები, თვითმფრინავები, სამშობიარო ბლოკში მშობიარე ქალი, ოჯახი, ბავშვები, სიყვარული, სიმყუდროვე... ბირკი მანამ, სანამ ყურანის“ უნიკალური კოლექციის შექმნას დაიწყებდა, ჩავიდა იმ ქალაქებში, სადაც გადაწერილი ყურანის ორიგინალები ინახება და თავად შეისწავლა ისინი მაროკოში, ლისაბონში, პარიზში, დუბლინში. ცნობილია, რომ ბირკი არაა მუსლიმი და არც რელიგიური ადამიანია, ამიტომ იმისთვის, რომ ყურანი კიდევ უფრო ახლოს ეგრძნო და ამ რელიგიას, როგორც თავად ამბობს, ამერიკული ფილტრის“ გარეშე გაცნობდა, ისეთ ქვეყნებში დაიწყო მოგზაურობა, როგორიცაა ინდოეთი, ინდონეზია, ფილიპინები - სტუმრობდა იმ ადგილებს, სადაც მუსლიმანური აღმსარებლობის ადამიანები ცხოვრობენ და მხოლოდ ამის შემდეგ -მუსლიმთა წმინდა წიგნის შესწავლას მიჰყო ხელი.

2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ ურთიერთმიმართება დასავლეთი და მუსულმანობა“ ერთგვარი ცხელი თემა“ გახდა და, ცხადია, ეს კულტურულ-პოლიტიკური კონფლიქტური მეინსტრიმი“ დღესაც აქტუალურია, განსაკუთრებით ზოგიერთი ექსტრემისტი მქადაგებლის მოწოდების შემდეგ - ყურანი მასობრივად და დემონსტრატიულად დაიწვას. 2009 წელს სენდოუ ბირკი ამბობდა: თუ გავითვალისწინებთ ახლანდელ სიტუაციას, ყურანი შეიძლება აღმოჩნდეს ყველაზე მნიშვნელოვანი წიგნი დედამიწაზე, მაგრამ ამის შესახებ ცოტა ამერიკელმა იცის. მე ვცდილობ შევქმნა ვიზუალური მეტაფორები, რომელიც ტექსტთან ერთად აღიქმება და ამით მინდა ეს წიგნი ამერიკელებისთვის უფრო ხელმისაწვდომი და აქტუაალური გახდეს“. მხატვარი ხაზს უსვამს, რომ გამოსახულება არაა სურას ტექსტის პირდაპირი ილუსტრაცია, არამედ მისი პირადი ასოციაცია, მხატვრის მედიტაცია და საკუთარი წარმოდგენების პროეცირებაა. ხელოვანს გაცნობირებული აქვს, რომ მნახველს სავსებით შესაძლებელია მის ნახატებზე მწვავე რეაქცია ჰქონდეს, რადგანაც, ერთი შეხედვით, ამგვარი სცენები პროვოკაციულია და ისლამის კლასიკურ/კანონიკურ წაკითხვას არ შეესაბამება. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამერიკელმა მნახველებმა, მათ შორის, მუსლიმანებმა სენდოუ ბირკის წინააღმდეგობრივი ჩანაფიქრი პოზიტიურად მიიღეს. მხატვარი სურების ილუსტრირებას სამომავლოდაც გეგმავს.

გაეროს ექსპერტები დამასკოში დაბრუნდნენ

გაეროს ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც დამასკოსთან ახლოს ქიმიური თავდასხმის გამოძიებაზე მუშაობდა, სირიაში დაბრუნდა. სპეციალისტები, რომლებსაც აკე სელსტრიომი ხელმძღვანელობს, სირიის სამოქალაქო ომის დროს ქიმიური იარაღის გამოყენების შემთხვევების შესწავლას გეგმავენ. ამბოხებულებმა და სამთავრობო ძალებმა ერთმანეთი ქიმიური იარაღის გამოყენებაში სულ მცირე 13-ჯერ დაადანაშაულეს. როგორც ცნობილია, ამ ექსპერტებმა უკვე წარმოადგინეს დასკვნა, რომელიც ადასტურებს, რომ 21 აგვისტოს დამასკოსთან ახლოს გაზი ზარინი იქნა გამოყენებული. თუმცა, ექსპერტებს არ ევალებოოდათ იმის დადგენა, თუ ვინ იდგა აღნიშნული თავდასხმის უკან.

დაღესტანში «კადარის" დაჯგუფების ლიდერი მოკლეს

დაღესტანის ეროვნული ანტიტერორისტული კომიტეტის განცხადებით, პოლიციასთან ორმხრივი სროლის დროს «კადარის" შეიარაღებული ფორმირების ლიდერი ტაგირ სულეიმანოვი და მისი მეგობარი მაგომედ დადაევი მოკლეს. «ბი-ბი-სი"-ს ინფორმაციით, ორმხრივ სროლას სამშაბათს საღამოს მახაჩყალასთან ჰქონდა ადგილი.

იანუკოვიჩი: უკრაინა ენერგო დამოუკიდებლობისაკენ მიისწრაფვის

უკრაინის პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩის თქმით, მისი ქვეყანა ენერგეტიკული რესურსების მინოდების დივერსიფიკაციაზე მუშაობს და მომავალში ენერგოდამოუკიდებლობისაკენ მიისწრაფვის. «ენერგეტიკული დამოუკიდებლობა ჩვენთვის სტრატეგიული საკითხია" - აღნიშნა პრეზიდენტმა. მისი თქმით, უკრაინა აგრძელებს საკუთარი გაზის მოპოვების გაზრდის გზების ძიებას: «ჩვენ დღეისათვის 21 მილიარდ კუბურ მეტრ გაზს მოვიპოვებთ და დროთა განმავლობაში ეს რაოდენობა გაიზრდება," - აღნიშნა პრეზიდენტმა. მისი თქმით, უკრაინის გეგმებში შედის, მის პარტნიორებთან ერთად, 2017 წლისათვის გაზის მოპოვების მნიშვნელოვნად გაზრდა: «ეს ჩვენი ოცნებაა, რომელსაც ავიხდენთ," - დაამატა პრეზიდენტმა.

ნატო და რუსეთი ოცზე მეტ პროექტში თანამშრომლობენ

ნატო რუსეთთან ოცზე მეტ პროექტში თანამშრომლობს - აღნიშნულის შესახებ გაეროს გენერალური მდივნის თანაშემწემ თავდაცვით ინვესტიციებში პატრიკ ორუამ განაცხადა. «დღეისათვის ნატოს პარტნიორი ქვეყნების უმრავლესობა ალიანსის რამდენიმე საქმიანობაში იღებს მონაწილეობას, სადაც ექსპერტთა სამუშაო ჯგუფებიც შედის. ნატოს როლია - არსებული ვარიანტების წარმოდგენა, დიალოგით მოქმედება და საერთაშორისო თანამშრომლობის შესაძლო ვარიანტების ძიება. მიმაჩნია, რომ ნატო და რუსეთი საკმაოდ პრაგმატულად და კონსტრუქციულად ასრულებენ ამ ამოცანას. მინდა აღვნიშნო, რომ რუსეთი უკვე მუშაობს ნატოსთან არაერთ სფეროში," - განაცხადა ორუამ Russian Arms Expo-2013-ს გამოფენის სხდომაზე. «პრაქტიკულად რუსეთი-ნატოს საბჭოს თანამშრომლობა ოცზე მეტ პროექტს ეხება, მათ შორის არის ავღანეთში ვერტმფრენების მომსახურება. ყველა ამ სფეროში ჩართული არის როგორც რუსეთის მრეწველობა, ასევე სამეცნიერო ინსტიტუტები," - აღნიშნა ორუამ.

თურქეთის ციხიდან «ქურთების მუშათა პარტიის" ოცამდე წევრი გაიქცა

თურქული გამოცემების მიხედვით, აღმოსავლეთ თურქეთში მდებარე ციხიდან «ქურთების მუშათა პარტიის" სულ მცირე 18 წევრი გაიქცა. გაქცეულების მოსაძებნად ბინგელის პროვინციის პოლიციის დანაყოფები გააგზავნეს. გავრცელებული ინფორმაციით, პატიმრებმა გაქცევა გვირაბის საშუალებით მოახერხეს. «ქურთების მუშათა პარტია" 1987 წლიდან მოყოლებული იბრძვის თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში დამოუკიდებელი ქურთისტანის შექმნისთვის. კონფლიქტმა უკვე შეიწირა 40 000 ადამიანის სიცოცხლე. რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციასა და ქვეყანას ეს პარტია ტერორისტულ ორგანიზაციათა სიაში ჰყავს შეყვანილი. ცოტა ხნის წინ პარტიის ლიდერი აბდულა ოჯალანი თურქეთის მთავრობას შეუთანხმდა, რომ ქურთი შეიარაღებული მებრძოლები ქვეყანას დატოვებდნენ.

მოამზადა თამთა კახაძემ

სირიის და ირანის თემა გაეროს გენერალურ ასამბლეაზე

პირველი გვერდიდან

ჰასან როუჰანი

თუმცა საერთაშორისო თემებზე ლაპარაკისას ეს პირები გვერდს ვერ აუვლიდნენ ყველაზე მწვავე საკითხებს - სირიის კონფლიქტსა და ირანის პრობლემას. სახელმწიფოს ხელმძღვანელების გამოსვლების გარდა, ასამბლეის ჩარჩოებში ორმხრივი და მრავალმხრივი შეხვედრებიც მიმდინარეობს, როგორც პირველ პირებს, ასევე საგარეო საქმეთა მინისტრებსა და დელეგაციებს შორის.

ირანი

ინტერესი გამოიწვია ირანის პრეზიდენტ ჰასან როუჰანის გამოსვლამ, რომელიც წინამორბედის ხისტი რიტორიკისა და ქმედებების შემდეგ აშკარად ცდილობს ტონის შეცვლას და აქცენტის გადატანას კონსტრუქციულ დიპლომატიაზე. ამას უკვე მოჰყვა დასავლეთის „შემხვედრი კეთილგანწყობაც", თუმცა ყველა ლიდერი თუ ექსპერტი აცხადებს, რომ ჰასან როუჰანის სიტყვებს საქმეც მალე უნდა მოჰყვეს.

ირანის პრეზიდენტმა გაეროს ტრიბუნიდან თქვა, რომ მისი ქვეყანა მზად არის მოლაპარაკებებისთვის ქვეყნის ბირთვული პროგრამის შესახებ. მისი სიტყვებით, ირანს უნდა მიეცეს საშუალება ატომური ენერგეტიკის განვითარებისთვის, მათ შორის ურანის საწარმოო გამდიდრებისთვის მშვიდობიანი მიზნებისთვის და თეირანი არ აპირებს ბირთვული იარაღის ფლობას. „ბირთვული იარაღის და მასობრივი განადგურების იარაღის ადგილი ირანის სამხედრო დოქტრინაში არ არის. ეს იარაღი ჩვენს ფუნდამენტურ რელიგიურ და ეთიკურ რწმენას ეწინააღმდეგება." მან თქვა, რომ ირანი მზად არის, მოლაპარაკებები დაიწყოს დაუყოვნებლივ, ყოველგვარი წინაპირობების გარეშე და დაარწმუნოს დასავლეთი ბირთვული პროგრამის მშვიდობიან მიზნებში. თუმცა ასევე ირანი მოლაპარაკებების წარმოებისას საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან პატივისცემას მოითხოვს. მან აგრეთვე ისაუბრა ირანის წინააღმდეგ მოქმედი სანქციების უარყოფით ზეგავლენაზე ქვეყნის ეკონომიკასა და უბრალო ხალხზე. როუჰანის სიტყვებით, სანქციები მხოლოდ იმ პირებს არ აზარალებს, რომელთა წინააღმდეგაც იქნა შემოღებული. მან სანქციებს სასტიკი უწოდა. როუჰანის სიტყვებით, ირანი საფ ახლო აღმოსავლეთის რეგიონისთვის რთხეს არ წარმოადგენს, პირიქით ის სტაბილურობის გარანტია. მან თქვა, რომ აუცილებლად უნდა მოინახოს დიალოგის საშუალებები. „მინდა, ხმამაღლა და ცხადად განვაცხადო, რომ მშვიდობა შესაძლებელია".

თავის გამოსვლაში აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ განაცხადა, რომ ირანის მიერ ცოტა ხნის წინ გადადგმულმა დიპლომატიურმა ნაბიჯებმა შეიძლება, ამ ქვეყნის ბირთვული პროგრამის საკითხზე შეთანხმების მიღწევის საფუძველი შექმნას. ობამას აზრით, ახლა სიტყვები საქმით უნდა განმტკიცდეს. ირანთან ურთიერთობაზე საუბრისას ობამამ აღნიშნა, რომ აშშ-ს სურს ბირთვული პრობლემის მოგვარება მშვიდობიანი საშუალებებით, თუმცა არანაირად არ დაუშვებს ირანის მიერ ბირთვული იარაღის შექმნას. მისი სიტყვებით, ამ გზაზე პრობლემები იქნება, მაგრამ ყველანაირად უნდა შევეცადოთ პრობლემის მოგვარებას დიპლომატიური ძალისხმევით. პრეზიდენტმა ამ საკითხებზე მოლაპარაკებების წარმართვა სახელმწიფო მდივან ჯონ კერის დაავალა.

საქმე ის არის, რომ ბოლო დღეებში განიხილებოდა გაეროს გენერალური ასამბლეის ჩარჩოებში ობამასა როუჰანის მოკლე, სიმბოლური შეხვედრის მოწყობა. ეს იქნებოდა აშშ-სა და ირანის პრეზიდენტების პირველი შეხვედრა 1979 წლის რევოლუციის შემდეგ, მაგრამ მისი ორგანიზება ვერ მოხერხდა. სხვათა შორის, ინიციატივა აშშ-ს მხრიდან მოდიოდა და საბოლოოდ უარი თქვა ირანმა, ოფიციალურად გადატვირთული გრაფიკის გამო. სერიოზულ ოფიციალურ ორმხრივ შეხვედრაზე ლაპარაკი არც ყოფილა. ეს სერიოზულად უნდა მომზადდეს და ამ დონეზე ასე ექსპრომტად არაფერი წყდება. თუმცა არც პროტოკოლური შეხვედრა გამართულა. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა მიანიშნა, რომ ამის მიზეზი შეიძლება, ირანის ახალი პრეზიდენტისა და ირანის სულიერი და ფაქტობრივი ლიდერის აიათოლა ალი ჰამენეის შორის შეუთანხმებლობაც არის. ანუ თეირანი შეიძლება, არა მხოლოდ ტექნიკურად, არამედ ჯერ იდეოლოგიურადაც არ იყო მზად ამისთვის.

საქმიანი მოლაპარაკებები დღეს, ხუთშაბათს გაიმართება ირანის საგარეო საქმეთა მინისტრ მოჰამად ჯავად ზარიფსა და აშშ-ს სახელმწიფო მდივან ჯონ კერის შორის. ამ შეხვედრაში მონაწილეობას მიღებენ აგრეთვე „ექვსეულის" (აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ჩინეთი, რუსეთი და გერმანია) წევრი სხვა სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრები. ამავე თემაზე კონსტრუქციული შეხვედრა ზარიფს უკვე ჰქონდა ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელთან საგარეო ურთიერთობებში ბარონესა კეტრინ ეშტონთან.

ირანის პრეზიდენტმა ჰასან როუჰანიმ მოახერხა სიმბოლური შეხვედრა საფრანგეთის პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდთან და მისთვის ხელის ჩამორთმევა. ოლანდმა მას უთხრა, რომ მსოფლიო ირანისგან კონკრეტულ ნაბიჯებს ელის. როუჰანის გამოსვლის დროს დარბაზი «ტრადიციულად» დატოვა ისრაელის დელეგაციამ, რის შესახებაც მათ პრემიერ-მინისტრის ოფიციალური მითითება ჰქონდათ. ბენიამინ ნეთანიაჰუ მიიჩნევს, რომ როუჰანის დიპლომატიური გამოსვლა მხოლოდ საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების მოდუნების და დროის მოგების მცდელობაა, რაც მთლიანად კარგად ჯდება ირანის უცვლელ სტრატეგიაში. მან როუჰანის გამოსვლას „ცინიკური" უწოდა. ნეთანიაჰუს სიტყვებით, ჯერ ირანს არანაირი საქმიანი ნაბიჯი არ გადაუდგამს, რაც მისი პოზიციის ცვლილებაზე მიანიშნებდა. უფრო მეტიც, ნეთანიაჰუს სიტყვებით, წინა კვირაში როუჰანიმ, წინამორბედის მსგავსად, ისევ უარყო ჰოლოკოსტი. ისრაელის პრემიერის სიტყვებით, როცა ეს შეიცვლება, მაშინ ისრაელის დელეგაცია დარბაზში დარჩება ირანის პრეზიდენტის მოსასმენად. გუშინვე, უკვე ნეთანიაჰუს მკაცრი განცხადების შემდეგ (მას გამოსვლა ასამბლეის ბოლო დღეს, 1 ოქტომბერს უწევს), გამოქვეყნდა როუჰანის მიერ «სი-ენ-ენ»-ისთვის მიცემული ინტერვიუ, რომელშიც ირანის პრეზიდენტმა აღიარა ჰოლოკოსტი, როგორც ისტორიული ფაქტი. მისი სიტყვებით, ნებისმიერი დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ, მათ შორის დანაშაული, რომელიც ჩაიდინეს ნაცისტებმა ებრაელების წინააღმდეგ, დაგმობას იმსახურებს. ამათან როუჰანიმ დასძინა, რომ ჰოლოკოსტის მასშტაბებზე ისტორიკოსებმა უნდა იმსჯელონ. ირანის წინა პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰმადინეჯადმა არაერთხელ დააყენა ეჭვქვეშ ჰოლოკოსტის ფაქტი, რითიც საერთაშორისო საზოგადოების მკვეთდრად უარყოფითი რეაქცია გამოიწვია.

სირია

ამ თემას ვრცლად შეხო როგორც აშშ-ს პრეზიდენტი ობამა, ასევე საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა ოლანდი. ობამამ გაეროს უშიშროების საბჭოს სირიის ქიმიური იარაღის საკითხზე მკაცრი რეზოლუციის მიღებისკენ მოუწოდა. მისი სიტყვებით, ამ რეზოლუციის მიზანი ასადის მიერ ქიმიური იარაღის განადგურების პროცესის სრული კონტროლი უნდა იყოს. ჩვენმა მკითხველმა კარგად იცის, რომ „კერი-ლავროვის პაქტის" შემდეგ, რომლის დროსაც, სექტემბრის შუა რიცხვებში, ეს ორი სახელმწიფო სირიის ქიმიური არსენალის განადგურებაზე შეთანხმდა, მხარეებს შორის წინააღმდეგობები წარმოიშვა. აშშ და რუსეთი რეზოლუციის ტექსტზე ვერ თანხმდებიან. სესეიის გახსნისას გაეროს გენერალურმა მდივანმა ბან კი მუნმაც განაცხადა, რომ სირიის მთავრობამ სრულად და შემჭიდროებულ ვადებში უნდა შეასრულოს თავისი ვალდებულებები ქიმიური იარაღის განადგურების კუთხით, ხოლო საერთაშორისო საზოგადოებამ პასუხი უნდა აგებინოს ქიმიურ იარაღის გამოყენებაში დამნაშავე პირებს.

სირიის თემაზე ვრცლად ისაუბრა საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმაც. მან აღნიშნა, რომ კონფერენცია „ჟენევა-2" აუცილებლად და რაც შეიძლება სწრაფად უნდა გაიმართოს და მისი პარამეტრების შესახებ საერთაშორისო საზოგადოებაში ორი აზრი არ არსებობს, ჟენევის მომავალი კონფერენციის მიზნები განსაზღვრულია „ჟენევა 1"-ზე. მისი მიზანია დროებითი, გარდამავალი მთავრობის შექმნა, რომელსაც სრული ძალაუფლება ექნება. ოლანდმა მხარი დაუჭირა ამ კონფერენციაში ირანის მონაწილეობას, მაგრამ იმ პირობით, რომ ირანი წინასწარ აღიარებს სირიაში ხელისუფლების მშვიდობიანი ცვლილების აუცილებლობას.

უშიშროების საბჭოს რეზოლუციის საკითხს ოლანდიც შეეხო და განაცხადა, რომ რეზოლუცია სირიას ქიმიური იარაღის განადგურებას უნდა აიძულებდეს და ასადის რეჟიმის მიერ ამ პროცესის დარღვევისთვის ქმედით სანქციებს ითვალისწინებდეს. მანვე მოუწოდა უშიშროების საბჭოს სხვა მუდმივ წევრებს - აშშ-ს, დიდ ბრიტანეთს, რუსეთსა და ჩინეთს - უარი თქვან ვეტოს გამოყენებაზე ისეთ შემთხვევებში, როდესაც საქმე ეხება სამხედრო დანაშაულს, მაგალითად ისეთს, როგორიც იყო ქიმიური იარაღის გამოყენება 21 აგვისტოს, რაც დადასტურებულია.

ბევრი სხვა თემა და უპირველესად სირიის საკითხი განიხილეს „პროდუქტიულ" შეხვედრაზე აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა. მხარეებს იმედი აქვთ, რომ რეზოლუციის ტექსტი ადვილად შეთანხმდება და კენჭისყრაზე მალევე დადგება მას შემდეგ, რაც ქიმიური იარაღის აკრძალვის საერთაშორისო ორგანიზაცია სირიის ქიმიური იარაღის განადგურების შესახებ თავის გეგმას მოამზადებს. თუმცა მაინც გამოჩნდა, რომ მხარეები ბევრ საკითხს ისევ სხვადასხვანაირად უყურებენ. მათ შორის მთავარია ისევ ძალის გამოყენება სირიის მიერ აღებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში. სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა მიანიშნა, რომ „კონცეპტუალური უთანხმოებები" კვლავ არსებობს და რუსეთისა და ამერიკის წარმომადგენლებს გაეროში ვიტალი ჩურკინსა და სამანტა პაუერს რეზოლუციის მოსამზადებლად წინ სერიოზული მუშაობა ელით.

საინტერესო იყო სხვა თემებიც. მაგალითად, ობამამ თავის გამოსვლაში გააგრძელა დაუსწრებელი კამათი პუტინთან „ამერიკელების განსაკუთრებულიბის" საკითხზე, ილაპარაკა ამერიკის ინტერესებზე ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში, რასაც აუცილებლად დაიცავენ და სხვ. ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესს შეეხიო ფრანსუა ოლანდიც. მან თქვა, რომ მშვიდობა მხოლოდ მოლაპარაკების გზით დამყარდება და ბოლო დროს იმედის სხივი გამოჩნდა, როცა ისრაელ-პალესტინის დიალოგის განახლება მოხერხდა.

პაკისტანში მიწისძვრის მსხვერპლი იზრდება

ივა შილაკაძე

სამშაბათს პაკისტანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, პროვინცია ბელუჯისტანში, საკმაოდ ძლიერი - 7,7 მაგნიტუდის მიწისძვრა მოხდა (აშშ-ს გეოლოგიური სამსახურის შეფასებით - 7,8). საბედნიეროდ, მიწისძვრის ეპიცენტრი დაუსახლებელ მთიან რაიონში მდებარეობდა, ქალაქ ავარანიდან 69 კილომეტრის დაშორებით და 23 კილომეტრის სიღრმეზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, მსხვერპლი და ნგრევა ბევრად უფრო მასშტაბური იქნებოდა. მიწისძვრას რამდენიმე შედარებით მომცრო ბიძგი მოჰყვა, რომელთაგან ყველაზე ძლიერი 5,9 მაგნიტუდის იყო.

გუშინდელი საღამოს მონაცემებით, დაღუპულია 320 ადამიანზე მეტი და დაშავებულია, სხვადასხვა მონაცემებით, 340-დან 400-მდე. რეგიონში მდებარე საავადმყოფოებში ადგილები არ ჰყოფნით, რათა ყველა დაჭრილი მოათავსონ. ამის შესახებ ბელუჯისტანის პროვინციის ხელისუფლების წარმომადგენელმა იან ბულედიმ განაცხადა. მისი სიტყვებით, დაშავებულების ნაწილი ვერტმფრენებით გადაჰყავთ ყარაჩიში.

ყველაზე მეტად დაზარალდა ქალაქი ავარანი და მისგან ჩრდილოეთით მდებარე სოფელი ლაბახი. ამ ორ დასახლებულ პუნქტში სახლების თითქმის 80 პროცენტი დანგრეულია, მთლიანად ავარანის ოლქში - 30 პროცენტი. ნგრევა იყო ხუძარის ოლქშიც. ადამიანებმა მთელი ღამე ღია ცის ქვეშ გაათიეს. ბელუჯისტანის პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრი ქალაქი კვეტაა. იქ მყოფი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მიწისძვრის მიერ მიყენებული ზარალის შეფასება ჯერ უჭირთ, რადგან სტიქია საკმაოდ მიუვალ და ადგილას მოხდა.

სახლების უმეტესობა ამ რეგიონში თიხით არის აგებული. რკინა-ბეტონის სეისმომედეგი მასალები და კონსტრუქცები მხოლოდ ადმინისტრაციული შენობების ასაგებად გამოიყენება. სწორედ ამან გამოიწვია ათასობით ადამიანის უსახლკაროდ დარჩენა.

შედარებით სუსტი ბიძგები იგრძნობოდა ყარაჩიში, ლარკანაში, ჰაიდარაბადში, სადაც სახელმწიფო დაწესებულების თანაშრომლები ქუჩებში შეშინებულები გამოცვივდნენ, აგრეთვე ინდოეთის დედაქალაქ დელიში.

რყევა ეპიცენტრთან ახლოს რამდენიმე წუთს გრძელდებოდა. არაბეთის ზღვაში, პაკისტანის საპორტო ქალაქ გვადარიდან 600 მეტრზე, მიწისძვრამ ახალი კუნძულის წარმოქმნა გამოიწვია. ეს ადამიანების თვალწინ მოხდა. კუნძულის სიგანე, დაახლოებით, 30 მეტრია. ის ზღვის დონიდან, დაახლოებით, 12 მეტრით არის ამოწეული. სეისმოლოგების ვარაუდით, კუნძულის წარმოქმნა, სავარაუდოდ, დროებითი მოვლენაა და ის ჭუჭყის ვულკანის ნაწილია. მაგალითად, 1968 წლის მიწისძვრის შემდეგაც წარმოიშვა კუნძული, რომელმაც, დაახლოებით, ერთ წელს იარსება და გაქრა.

ბელუჯისტანი სეისმურად აქტიური რეგიონია. ამ პროვინციაში წელს, აპრილში, 35 ადამიანი შეეწირა მიწისძვრას, რომლის ეპიცენტრიც მეზობელ ირანში მდებარეობდა.

შოთა არველაძე, ჩოხები და რამადანი

პირველი გვერდიდან

არველაძე თურქეთში დღესაც საინტერესოა და შოთამ ეს ინტერესი „ქაიზერში“ კარგი პერიოდის შემდეგ (2010-2012) გაზარდა. არველაძე ახალ კლუბში ახალი ბიუჯეტით და ახალი მოთამაშეებით მიდის. შოთას ჩემპიონობას არ სთხოვენ. ამ შემადგენლობით ბოლომდე გასვლა მეტისმეტად ძნელი, ალბათ, არარეალურია. თურქეთში ჯერ „გალათასარაი“ და კიდევ რამდენიმე ბრექი კლუბია. „ქაშიმფაშა“ მაღალ დონეზე თამაშს ეჩვევა, აზრზე მოდის და ცდილობს, უფრო მეტი მოიგოს, ვიდრე - პირიქით. ნორმალური სტარტი, გუნდი იგებს, რაიან ბაბელს გოლები გააქვს და შოთაც შედარებით მშვიდად უნდა იყოს. მხოლოდ შედარებით.

კლუბს ულამაზესი ბაზა აქვს. კოხტა, მოწესრიგებული, მდიდრული. ჩვენ რომ მივედით, ბაზაზე დაცვის რამდენიმე თანამშრომელი იდგა. გაიგეს, რომ შოთასთან მივდიოდით ინტერვიუზე და დანიშნულების ადგილამდე მიგვაცილეს.

გამოდის შოთა. ლოკალური ლეგენდა, რომელსაც აფასებენ, რომელსაც უსმენენ და რომელიც იქ ბოსია, ოღონდ მხოლოდ ვარჯიშებზე. სხვა შემთხვევებში არველაძეს თან იუმორი დააქვს. დიდი დოზით. თურქები ამას აფასებენ. და არა მარტო თურქები. დანარჩენებიც. არველაძემ თურქეთი დიდი ხნის წინ დაიპყრო.

- რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი მთავარი მწვრთნელის მოვალეობაში?

- შ.ა.: ის, რომ კონტროლი არ დაკარგო გუნდსა და სიტუაციაზე. სხვა ფაქტორებიც არის...

- იდეალური კაპიტანი.

- შ.ა.: სხვათა შორის, არაჩვეულებრივ პიროვნებებთან ერთად მომიხდა თამაში. დენი ბლინდი „აიაქსში“. კარგი კაპიტანი იყო ფრანკ დე ბური. იმ კონტინგენტიდან, ვის წინააღმდეგაც მითამაშია, ბევრი გამორჩეული კაპიტანი იყო. ინგლისელების, ფრანგების, იტალიელების კაპიტნები. ჩემი მოწინააღმდეგეებიდან მაინც მალდინის გამოვრაჩევ. სხვებზე საუბარი მაინც ძნელია. უნდა იყო იმ პიროვნებასთან ერთად გასახდელში, ხედავდე, გრძნობდე მის განწყობას. აკვირდები, როგორ მოკიდებს ხელს ბურთს, გამოაფხიზლებს გუნდს. კაპიტანი უნდა იყოს ლიდერი და ლიდერი ყველა შემთხვევაში ლიდერია... ეს მისი პიროვნებიდან, ხასიათიდან მოდის. ბევრი დიდი ლიდერი იყო. ყველას ვერ გაიხსენებ.

- რამდენად ძნელია უბურთოდ თამაში?

- შ.ა.: ყველაზე ძნელია. უბურთოდ თამაშის დროს უფრო გახსენდება, რომ ამ გუნდის წევრი ხარ და ცდილობ, ბურთამდე მიხვიდე, მაგრამ ისე, რომ გუნდს დისკომფორტი არ შეუქმნა. აი ისე, ბავშვი კანფეტამდე რომ მიდის... დღევანდელი ფეხბურთი უფრო უბურთოდ თამაშია. სწორი გახსნა, სწორი დგომა, პოზიციის სწორად შერჩევა. დღეს უბურთოდ სწორად თამაში უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე - ბურთით.

- ვინც ბურთს ფლობს, თამაშსაც ის იგებს?

- შ.ა.: ალბათ. უფრო ხშირად იგებს. მაგრამ ეს მოგება ყოველთვის იოლი არ არის. შემიძლია მოვიყვანო მაგალითები, როდესაც ერთი გუნდი ბურთის ფლობით მეორეს 70:30 ან 78:22 უგებს და ძლივს იგებს. თუნდაც „ბარსელონას“ და „ატლეტიკოს“ თამაშები. 0:0 და 1:1. პრინციპში, ხშირად მაინც ის იგებს, ვინც ბურთს ფლობს, თუმცა, არის გამონაკლისებიც.

- უნივერსალი A) ვის წინააღმდეგ და B) ვისთან ერთადაც გითამაშიათ.

- შ.ა.: ვფიქრობ, მაიკლ ლაუდრუპი იყო ტვინით გაჟღენთილი. ამასთან, შეეძლო, ეს ყველაფერი იდეალურად ეჩვენებინა ყველასთვის. ალბათ, გიო და აჩი. სამწუხაროდ, რაღაც მიზეზების გამო, ყველაფერი ისე არ გამოვიდა, როგორც მე მინდოდა, როგორც მათ უნდოდათ. სხვების გახსენებაც შეიძლება.

- კლუბის პრეზიდენტის როლი გუნდში.

- შ.ა.: როცა თავი კარგად არის, მთელი სხეული კარგად არის. როცა თავი ურევს, ხელი - იქით, ფეხი - აქეთ და ყველაფერი ირევა.

- აქცევთ თუ არა ყურადღებას სტატისტიკას?

- შ.ა.: არც ისე. ის უფრო მაინტერესებს, რეალურად დავინახო ყველაფერი, დავაკვირდე სხვა მომენტებს. მაგრამ სტატისტიკაც აუცილებელია. ყველა თამაშზე ვნახულობ სტატისტიკას, ყველა თამაშის შემდეგაც და ეს ჩვეულებრივი ამბავია. სტატისტიკას ვიყენებ, მაგრამ ავადმყოფურად რომ ვიყო ჩაძიებული, ასეც არ ვარ...

- ფეხბურთით მაყურებელი უფრო დიდ სიამოვნებას იღებს თუ მოთამაშე?

- შ.ა.: რთული კითხვაა, იმიტომ რომ... იცი, სტადიონზე რომელიმე გუნდს თუ არ გულშემატკივრობ, გამარჯვების მუღამი, იმ სტადიონზე მისვლის ფასი იკარგება. კი, დავდივართ კლასიკოზე, ჩემპიონთა ლიგის ფინალებზე და არ ვნერვიულობთ, ვინ მოიგებს. უბრალოდ, უმაღლესი დონის ფეხბურთით სიამოვნებას ვიღებთ. მოედანზე რომ ხარ, ყველაფერი სხვა დატვირთვით მოდის. იქ, მოედანზე რომ ხარ, ის ორი საათი არაფერი არ გტკივა. მოედნიდან დაჩეხილი გამოდიხარ და ტკივილი მერე მოდის. შეიძლება სისხლისგან დაიცალო და მაინც ძლებ, ბოლომდე ხარ მოედანზე. ნაკრებში, ირლანდიაში კინაღამ მოვკვდი. მართლა გეუბნები, კინაღამ მოვკვდი... თამაშის წინ ცუდად ვიყავი, თამაშის დროს - უარესად და თამაშის შემდეგ კინაღამ მოვკვდი. დუბლინში ის წუთები ვითამაშე და, ალბათ, ცუდად არ მითამაშია. ძალიან ბევრი ასეთი ფაქტია. ასე რომ, ფეხბურთის თამაში ფეხბურთის ყურებას არ შეედრება.

- არის თუ არა მოთამაშე მაყურებლისთვის მისაბაძი პერსონა?

- შ.ა.: არიან განსაკუთრებული ფეხბურთელები, მით უმეტეს, ბავშვებისთვის. რაღაც უნდა გქონდეს, ხო ხვდები... რაღაც განსაკუთრებული. რაღაცას უნდა წარმოადგენდე. უბრალოდ, ცხვირსახოცი კი არ უნდა გედოს ჯიბეში. მოედანზე ცხვირი ისე, ქუჩურად არ უნდა მოიხოცო. არავის არ უნდა შეაფურთხო. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია. მით უმეტეს, საქართველოში, ოჯახში გაზრდილი ისეთ რაღაცებს აქცევ ყურადღებას, რომ... ფეხბურთს მაინც ქუჩის სუნი დასდევს. გარეთ ხარ, ტალახიანი თამაშია, გატკეენ და ერთი-ორჯერ რაღაც წაგცდება. მაყურებელი ამას მიმიკითაც ხვდება. ჩვენთან იყო რამდენიმე მისაბაძი მოთამაშე - ჩივაძე, ყიფიანი, ხურცილავა. თითქოს ჩოხები ეცვათ, ისე გადიოდნენ მოედანზე. თითქოს არ, ვერ ისვრებოდნენ. არ მახსოვს ტალახიანი ყიფიანი, ჩივაძე სულ გაკრიალებული იყო - არადა, თამაშია, წვიმ?ა, ტალახია...

- ძნელია, იყო ვარსკვლავი და უშუალო ადამიანად დარჩე?

- შ.ა.: არა... რაც ხარ, მაინც ის ხარ... ყურადღება, პოპულარობა ყველაზე ერთნაირად არ მოქმედებს. გააჩნია, რა წრეში იზრდები. რომ გითხრა, თავში ავარდნის შემთხვევა არ მქონია-მეთქი, არ ვიქნები მართალი. უბრალოდ, მერე ერთს წაგითაქებენ და უცებ აზრზე მოდიხარ.

(სრულ ინტერვიუს გაეცნობით Weekend-ში)

მოჭიდავეთა სამწვრთნელო შტაბში გადაადგილებებს ელიან

25 სექტემბერს საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა ლუკა კურტანიძემ გამართა პრესკონფერენცია, რომელზეც ბუდაპეშტში დასრულებულ თავისუფალ და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებების გამოსვლასა და ფედერაციის მხრიდან განსახორციელებლ სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.

კურტანიძის განცხადებით, თავისუფლებში მოპოვებული ერთი ბრინჯაოს მედალი და გუნდური მესამე ადგილი არასახარბიელო შედეგია და მდგომარეობის გამოსასწორებლად ცვლილებებია საჭირო. ამასთან დაკავშირებით 15 ნოემბერს ფედერაციის პრეზიდიუმი მწვრთნელთა ახალი შემადგენლობის დამტკიცების საკითხზე იმსჯელებს. დაგეგმილია კონკრეტული ცვლილებები და გადაადგილებები ორივე ნაკრების სამწვრთნელო შტაბის შემადგენლობაში. კურტანიძის თქმით, ასევე გადაწყვეტილია, რომ ფედერაციის მოწვევით საქართველოში ჩამოვა საერთო ფიზმომზადების გერმანელ მწვრთნელ-კონსულტანტთა ჯგუფი და მომავალი ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებისთვის, ასევე ოლიმპიური თამაშების მოსამზადებელ ციკლში ჩაერთვება.

«მწვრთნელებთან დაკავშირებით გვაქვს შენიშვნები, რომლებსაც აუცილებლად გავითვალისწინებთ. 15 ნოემბრისთვის მწვრთნელებთან ერთად ყველაფერს გავაანალიზებთ. სამწვრთნელო შტაბში მოხდება გადაადგილებები. ავიყვანთ ფიზმომზადების გერმანელ მწვრთნელებს, - ამბობს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი ლუკა კურტანიძე. - გერმანელებს ამ საქმეში ბადალი არ ჰყავთ. შესაძლოა, რუსეთში ფიზმომზადების მხრივ არ უჭირთ, მაგრამ ამას, პირველ ყოვლისა, ნიჭის ხარჯზე აღწევენ. გერმანიაში კი ეს პროცესი მეცნიერულ დონეზეა აყვანილი, სადაც ყველაფერი გამართულად მუშაობს. ამ ჯგუფთან 12-წლიანი ურთიერთობა მაქვს. დარწმუნებული ვარ, მათთან თანამშრომლობა ჩვენს ჭიდაობას სასიკეთოდ წაადგება.

ჩვენი მიზანია მომავალ ევროპის ჩემპიონატზე გვყავდეს უძლიერესი ნაკრები, რომლის ბაზა უკვე გვაქვს. ჭიდაობის ფედერაციამ, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან ერთად, მაქსიმალურად გახარჯა ადამიანური და ფინანსური რესურსი, რათა ნაკრები მომზადებულიყო. შედეგით კი, რომელიც მივიღეთ, კმაყოფილი არ ვართ.

ჩვენი მიზანია, ჩვენ მიერ გაწეული შრომა მაქსიმალურად შედეგიანი აღმოჩნდეს - ოლიმპიური თამაშებისთვის გვყავდეს ძლიერი ნაკრები, რომელიც საქართველოს მედლებს მოუტანს».

...საქართველოს თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მწვრთნელები არიან რევაზ მინდორაშვილი და ოთარ ტატიშვილი.

უსეინ ბოლტი გარეთ ბეილის სამსახურში

ოლიმპიური თამაშების ექვსგზისა და მსოფლიო ჩემპიონატების რვაგზის ჩემპიონი, პლანეტის უსწრაფესი ადამიანი, იამაიკელი უსეინ ბოლტი აცხადებს, რომ მზადაა ყველა დროის ყველაზე ძვირად ღირებული ფეხბურთელის, გარეთ ბეილის ფიზიკური მონაცემების გაუმჯობესებაზე იზრუნოს.

„ბეილი ყველაზე სწრაფ ფეხბურთელად მიმაჩნია, მაგრამ, თუ სურს, შემიძლია მისი სისწრაფე გავაუმჯობესო.

რონალდუს უკვე დავეხმარე და ის საუკეთესო სპრინტერი გახდა. ჩვენ ერთად ვვარჯიშობდით და შეგიძლიათ ნახოთ, რას მიაღწია მან.

მადრიდის „რეალს“ დიდ პატივს ვცემ. თუ ამ კლუბს ან ბეილს ჩემი დახმარება დასჭირდება, მზად ვარ გარეთთან ინდივიდუალურად ვიმუშაო. ამბობენ, რომ ბეილის სისწრაფე ჩემსას უახლოვდება, მაგრამ სირბილის დროს ასევე მნიშვნელოვანია ტექნიკა. დარწმუნებული ვარ, შემიძლია გარეთი უკეთეს ფეხბურთელად ვაქციო“, - Daily Mail-თან საუბარში აცხადებს უსეინ ბოლტი.

პირლო «იუვენტუსიდან» მიდის

ტურინის „იუვენტუსი“ ანდრეა პირლოსთან ხელშეკრულების გაგრძელებას არ ჩქარობს, არადა, «ბებერი ქალბატონის» ნახევარმცველი სეზონის ბოლოს თავისუფალი აგენტი ხდება. Daily Mail-ის ცნობით, იტალიური გრანდის მთავარი მწვრთნელი ანტონიო კონტე 34 წლის ნახევარმცველთან დაკავშირებით წლის ბოლოს მიიღებს გადაწყვეტილებას.

ირკვევა, რომ თუ მხარეები ახალ ხელშეკრულებაზე ვერ შეთანხმდებიან, პირლოს ტრანსფერზე დააყენებენ. ამ შემთხვევაში, იტალიელი ვეტერანი იანვარში ერთ-ერთ ინგლისურ და ესპანურ კლუბში გადავა.

ზამთრის სატრანფერო პერიოდში „იუვენტუსი“ მადრიდის „რეალიდან“ ხაბი ალონსოს გადაბირებას გეგმავს, რაც გუნდში პირლოს დარჩენის შანსს უფრო ამცირებს.

ფათიჰ თერიმი გათავისუფლებულია

სტამბოლის „გალათასარაის“ დირექტორთა საბჭომ დაადგინა, რომ გუნდის შედეგები არ შეესაბამება მის პოტენციალს და მდგომარეობიდან გამოსასვლელ ერთ-ერთ გზად მწვრთნელ ფათიჰ თერიმის თანამდებობიდან გათავისუფლება ჩათვალა.

თურქეთის ჩემპიონატში „გალა“ ჯერჯერობით მეათე ადგილზეა. ჩემპიონთა ლიგის პირველ მატჩში სტამბოლური გრანდი შინ მადრიდის „რეალთან“ დიდი ანგარიშით - 1:6 დამარცხდა.

უკვე ცნობილია „გალათასარაის“ სავარაუდო დამრიგებელი - 65 წლის ჰოლანდიელი დიკ ადვოკაატი. ჰოლანდიური მედიის თანახმად, თურქული კლუბის ხელმძღვანელობა უკვე მართავს მასთან მოლაპარაკებას. თერიმის სავარაუდო შემცვლელთა შორის ასახელებენ იტალიელ რობერტო მანჩინის, რომელიც ბოლოს «მანჩესტერ სიტის» ედგა სათავეში.


PHOTOGRAPHED BY FRED MEYLAN
ELITE MODEL LOOK CASTING 2013
N°1 MODEL SEARCH WWW.ELITEMODELLOOK.COM/GE
21 JULY KUTAISI Opera House 14:00 - 17:00
23 JULY GORI Gamarjveba Movie Theatre 14:00 - 16:00
26 JULY GURJAANI Cultural Centre 14:00 - 16:00
29 JULY ZUGDIDI Art Gallery 14:00 - 17:00
17 AUGUST BATUMI Hotel Intourist 14:00 - 17:00
18 AUGUST OZURGETI Theatre Hall 14:00 - 16:00
07 SEPTEMBER TBILISI Tbilisi Mall 14:00 - 18:00
elite 2013
MODEL LOOK
GEORGIA
MODEL MANAGEMENT
kikala studio
OUtdooR.ge
MSG
ADSSPRINT
McCANN
Curves
myVIDEO.GE
LUXURY
ego
GHN
ANGEL
24 საათი
allMovies.ge
Pink